პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ფასი 3 კაპ.

# კომუნისტი

პირველ და მეორე ქართულ მსროლელ დივიზიების პოლიტგანყოფილებების ყოველ დღიური ორგანო

წელიწადი მეექვსე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლუნაჩარსკის (ყოფ. ევანგულოვის) ქუჩა № 2.

დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია უკან არ აბრუნებს.

ხელის მოწერის პირობები: ცალკე ხელის მომწერთათვის 1 თვით—50 კ., 3 თვით—1 მ. 50. 6 თვით—2 მ. 50 კ. 12 თვით—5 მ.

წითელ არმიელებისათვის კოლექტიური ხელის მოწერა: 1 თვით—40 კ. 3 თვით—1 მ. 10 კ. 6 თვით—2 მ. ერთი წლით 3 მან. 80 კ.

განცხ. ფ-სი 1 გვ.—80 კ. სტრ. მე 4-ზე—40 კ.

111 (1106) | შაბათი, 22 მაისი 1926 წ, | 111 (1106)

## მეთაურთა პოლიტცოდნის შემოწმებისათვის.

ივნისის შუა რიცხვებში დაიწყება ტერიტორიალურ ნაწილების მეთაურთა შემადგენლობის პოლიტცოდნის შემოწმება.

ეს გარემოება აყენებს ჩვენი ტერნაწილების მეთაურების წინაშე ამოცანას —დაუყონებლივ შეუდგენ პოლიტმზადებას და გასინჯვის [დროს გამოიჩინონ საკმაო სიმწიფე ამ მხრივ.

წითელი ჯარის მეთაური არა მარტო კარგი სამხედრო სპეციალისტი უნდა იყოს, არამედ პოლიტიკურადაც კარგად მომზადებული.

ის—წითელი არმიელის სამხედრო და პოლიტიკური აღმზრდელია.

განსაკუთრებით ეს ეხება ტერნაწილების მეთაურებს, რომლებსაც მაზრებში უხდებათ მუშაობა ცვალებადელების ფართე მასასთან.

ჩვენ კი ვიცით თუ რაოდენ დაბალია ცვალებადელების პოლიტიკური და კულტურული განვითარების დონე. ტერნაწილის მეთაური ყოველმხრივ საზოგადოებრივ მომზადებული უნდა იყოს, რომ სათანადო სამხედრო-პოლიტიკური აღზრდა მისცეს თავის ცვალებად-წითელ არმიელებს.

მეთაური მოვალეა, არა თუ გასცეს პასუხი წითელ არმიელისათვის ყველა გაუგებარ საკითხებზე, არამედ აგრეთვე თვით იზრუნოს წითელი მებრძოლის პოლიტიკურ განვითარებაზე.

ცხადია ყოველივე ეს დაჟინებით მოითხოვს მეთაურისაგან თვით იყვეს პოლიტიკურად მომზადებული, კარგად იყოს გაცნობილი მიმდინარე პოლიტიკურ ამბებთან და სხვა.

უნდა აღინიშნოს, რომ დღემდი ჩვენ მეთაურებს მანდამაინც ხელსაყრელი პირობები არ ქონდათ, რომ საფუძვლიანად მოეკიდებიათ ხელი პოლიტმომზადებისთვის.

ამას უშლიდა სათანადო დროს უქონლობა, ვინაიდან მთელი დრო ხმარდებოდა წვევამდე მზადებას, მოკლე ვადიან შეკრების, ხელახალ მიწერას და სხვა. მასთან წერტებიც მოუწყობელი. იყო

ეხლა კი, როცა ისინი ლეგიონებში იმყოფებიან მათ სრული საშუალება აქვთ მტკიცედ შეუდგენ პოლიტიკური ცოდნის გაფართოებას და საფუძვლიანადაც მოემზადონ ამ დარგში.

პოლიტცოდნის შემოწმების დრო არც ისე შორს არის.

საჭიროა მეთაურებმა ეხლავე ენერგიულად მოკიდონ ხელი ამ საქმეს, რომ გამოცდის ჟამს გაწითლება არ მოუხდეთ.

ცხადია, მარტო ერთი თვე როდი კმარა პოლიტიკურ მომზადებისათვის. ან ზოგიერთი იფიქრებს ამ ერთ თვეს ვიმეცადინებ, გამოცდებს ჩავაბარებ და საქმეც გათავდება. ეს შემცდარი აზრია.

ყოველი მეთაური მოწადინებული უნდა იყოს პოლიტცოდნის შეძენაში არა თუ ეხლა გამოცდების მოლოდინში, არამედ მუდამ და ყოველთვის. როგორც სამხედრო საქმეში, ისე პოლიტიკის დარგშიც საჭიროა მიღებული ცოდნის გაფართოვება, გაღრმავება და შევსება.

და აი ასეთ საფუძვლიან პოლიტიკურ მომზადებას და განვითარებას საჭიროა აქედანვე ჩაეყაროს მტკიცე, ურყევი საფუძველი.

სამხედრო და პოლიტიკურად კარგად მომზადებული მეთაური წითელი არმიის სიმტკიცისა და დაუძლეველობის უტყუარი ნიშანია.

## გაფიცვის მოხსნის შემდეგ ინგლისში

### სხვადასხვა დარგის კომპანიები განაგრძობენ რეპრესიებს მუშების წინააღმდეგ

სამთა მადნო. მუშებმა გადასწყვიტეს მტკიცედ იბრძოლონ, სანამ გაიმარჯვებენ

### ზოგიერთი კომპანია განზეზ ამცირებს წარმოებას, რომ სამუშაოდან მოიშორონ გაფიცვის მონაწილე მუშები

რკინის გზის მთავარ ცენტრებში დღემდისაც არ მიუღიათ 40 პროცენტზე მეტი მუშა

### მუშებმა უარყვეს მთავრობის წინადადება

სამთა-მადნო მუშათა კონფერენციამ ერთხმად უარყო მთავრობის მიერ წამოყენებული პირობები გაფიცვის შეწყვეტის შესახებ.

### ვალდებულნი არიან მაგრამ...

რკინის გზელთა ეროვნულ კავშირის მდივანი კრემპი, კავშირის ორგანიზაციებზე გადაგზავნილ წერილში აცხადებს, რომ რკინისგზის კომპანიებთან დადებულ შეთანხმების ძალით კომპანიები ვალდებული არიან მიიღონ სამსახურში ყველა, გაფიცვაში მონაწილე მუშები.

### განზეზ ამცირებენ მოძრაობას

მემანქანეთა და ცეცხლფარეშთა კავშირის მდივანმა განაცხადა, რომ რკინისგზის კომპანიები განგებ ამცირებენ მოძრაობას, რათა მოიშორონ სამსახურიდან რაც შეიძლება მეტი მუშა. ამით კომპანიებს სურთ დაუმტკიცონ მუშებს, თუ რა შედეგამდის შეიძლება მიიყვანოს მუშები საყოველთაო გაფიცვებმა.

ბრომლეი აფრთხილებს, რომ ეს ტაქტიკა მოულოდნელ პასუხს გამოიწვევს რკინისგზელების მხრივ.

### მხოლოდ 40 პროც.

საბჭოთა დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტის ცნობით, ლონდონის მთავარ სარკინისგზო ცენტრებში სამსახურში დაბრუნებულ იქნა მხოლოდ 40 პროცენტი მუშებისა.

### ხიქსის განმარტება

თემთა პალატაში შინაგან საქმეთა მინისტრ ხიკსს მისცეს შემდეგი შეკითხვა: ხელს შეუშლის თუ არა ის მოსკოვიდან ინგლისის მუშების სახელზე გადმოგზავნილ ფულების მიღებას?.

ხიკსმა უპასუხა, რომ ფულის მიღებას მთავრობა ვერ შეუშლის ხელს იმ შემთხვევაში, როცა ის იგზავნება ჩვეულებრივ წესით გაფიცულ მუშათა დასახმარებლად. ხიკსმა დასძინა, რომ მან აკრძალა მთავარ საბჭოს სახელზე გამოგზავნილ ფულის მიღება იმიტომ, რომ, მისი აზრით, ფულები გამოგზავნილი იყო უკანონო გაფიცვაზე დასახმარებლად, რომელიც არღვევდა კონსტიტუციას.

## მდგომარეობა პოლონეთში

### მოითხოვენ პილსუდსკის დიქტატურას.

პოლონეთის სოციალისტურ პარტიამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც მოითხოვს, რათა პილსუდსკიმ აიღოს ხელში სახელმწიფოს უზენაესი ძალა-უფლება და დანიშნოს ახალი საპარლამენტო არჩევნები.

### პრეზიდენტის არჩევნები დაიწყება 29 მაისიდან

სეიმის თავმჯდომარემ რატაიმ განაცხადა, რომ ეროვნული კრება რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნებისთვის უნდა გაიხსნას არა უგვიანეს 29 მაისისა და ერთად-ერთი ადგილი, სადაც უნდა გაიხსნას კრება,—ეს არის ვარშავა.

## სირიიდან გადასახლებულები

სირიაში აჯანყებასთან დაკავშირებით, უკანასკნელ თვეებში ტრანსიორდანიაში გავიდა 12 ათასი სირიელი.

ტრანსიორდანიის დედა ქალაქი ამმანი, რომელიც რამოდენიმე წლის უკან პატარა სოფელს წარმოადგენდა, 2 ათასიანი მოსახლეობით,—სწრაფად იზრდება. ამ ჟამად ამ ქალაქში ითვლება 15 ათასი კაცი.

## მთავრობის ტერორის გაძლიერება რუმინეთში.

რუმინეთში საპარლამენტო არჩევნები დაიწყება 25 მაისს. მთავრობამ გააძლიერა ტერორი. მიდის ჩხრეკა და დაპატიმრება. დახურეს გლეხთა გაზეთი „ავრორა“.

განსაკუთრებით სასტიკია ტერორი ბესარაბიაში, სადაც დაგროვილია ჯარები და ჟანდარმერია. ამომრჩევლებს სასტიკად და უხეშად ეპყრობიან.

კალარაში ჟანდარმერიის უფროსმა მოჰკლა 4 გლეხი, რომლებიც ცდილობდენ გლეხთა კრების მოწყობას.

## საბჭოთა კავშირში

### მომჭირნეობის რეჟიმი სამხედრო უწყებაში

რევსამხსაბჭოს ბრძანება

საბჭოთა კავშირის რევსამხსაბჭომ გამოსცა ბრძანება მომჭირნეობის რეჟიმის შესახებ სამხედრო უწყებაში.

„თანადროულ პირობებში—ნათქვამია ბრძანებაში—მხოლოდ სასტიკი მომჭირნეობის რეჟიმით შეგვიძლია გავაუმჯობესოდ წითელი არმიის ყოველ მხრივი მდგომარეობა.

რევსამხსაბჭო უბრძანებს ყველა სამმართველოებს, რომ ყოველგვარ ზედმეტი ხარჯების გაღებისთვის, ფინანსიურ საშუალებებზე გაუფრთხილებლობისათვის, ბიუროკრატობისა და საქმეების გაჭიანურებისთვის სასტიკ პასუხისგებაში იქნებიან მიცემული ყველა დამნაშავენი.

საჭიროა, რათა მომჭირნეობის რეჟიმს თვითეულ უფროსმა ხელი შეუწყოს, როგორც წესი და რიგია“.

## წითელი ჯარი და მომჭირნეობის რეჟიმი.

დღევანდელი რადიო გადმოგვცემს რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოს ბრძანებას სამხედრო უწყებაში მომჭირნეობის რეჟიმის დაცვის შესახებ.

დღეს მთელ საბჭოთა კავშირში ტარდება ეკონომიის რეჟიმის კამპანია. მხოლოდ უაღრესი ხელმომჭირნეობით, არსებული საშუალებების მიზანშეწონილად გამოყენებით ჩვენ შეგვიძლია წინ წავსწიოთ საბჭოთა მეურნეობა და ვაშენოთ სოციალიზმი.

მომჭირნეობის დაცვა ცხადია საჭიროა წითელი არმიის წარგლებშიც.

არც ერთი კაპეიკი არ უნდა დაიხარჯოს მიზანშეუწონლად, უნაყოფოთ.

მთელი ყურადღება, მთელი ძალღონე მიმართულ უნდა იქმნას ეკონომიის დაცვისაკენ.

ყოველი მეთაური, პოლიტმომუშავე, წითელ არმიელი მოვალენი არიან მტკიცედ შეუწყონ ხელი სასტიკი ეკონომიის გატარებას წითელ ჯარში.

ყოველივე კაპეიკი უნდა იხარჯებოდეს დანიშნულებისამებრ, ყოველივე სახაზინო ქონებას მოფრთხილებით უნდა ეპყრობოდეს წითელი მებრძოლი.

ხელგაშლილობას, ფულის უთავბოლო ფლანგვებს, მისი არამიზანშეწონილად დახარჯვას და სხვა ასეთ არა ნორმალურ მოვლენებს ნაწილის მეურნეობაში უნდა გამოეცხადოს სასტიკი ბრძოლა.

რას მოგვიტანს მომჭირნეობის ეკონომია წითელ ჯარში?

ავიღოთ შემდეგი მაგალითი.

მთელ წითელ ჯარზე საბჭოთა ხელისუფლება 600 მილიონ მანეთს ხარჯავს წლიურად.

თუ ჩვენ თითო მანეთზე თითო კაპეიკს გადავანარჩუნებთ, მაშინ წლიურად ეკონომიას გავაკეთებთ 6 მილიონ მანეთს. 6 მილიონით კი შეიძლება 120.000 შაშხანის შეძენა.

აი რას მოგვცემს ეკონომიის რეჟიმი. ცხადია ეკონომიის რეჟიმი იმას კი არ ნიშნავს, რომ მომჭირნეობა ხდებოდეს წითელარმიელის მატერიალური მდგომარეობის გაუარესების ხარჯზე. სრულიადაც არა. პირიქით მომჭირნეობის კამპანია მიზნად ისახავს წითელარმიელის მატერიალური მდგომარეობის კიდევ უფრო გაუმჯობესებას.

თუ თითეული კაპეიკი დანიშნულებისამებრ, მიზანშეწონილად, ნაყოფიერად იქნება დახარჯული, მომჭირნეობაც დაცული იქნება და ნაწილის მეურნეობაც საუკეთესო მდგომარეობაში იქნება.

ეკონომიის რეჟიმის კამპანია სრულიად არ არის დროებითი, წარმავალი, პირიქით ის მრავალ წლების ამოცანა არის და აქედანვე დაუყონებლივ უნდა შეუდგეთ მის ცხოვრებაში განხორციელებას.

ამ მხრივ დიდი როლი უნდა ითამაშონ ჩვენმა სამხკორებმა. მათ ერთიორად უნდა გაამახვილონ თავისი ყურადღება ამ საკითხის გარშემო. ყოველგვარი არა ნორმალური მოვლენა ამ მხრივ, ესე იგი, ყოველგვარი უწესრიგობა ნაწილის მეურნეობაში გამოაშკარავებული უნდა იქნას ჩვენს გაზეთში.

ამასთანავე საჭიროა სწერონ აგრეთვე იმის შესახებ, თუ რა გაკეთდა მომჭირნეობის რეჟიმის დარგში, რა მიღწევებია და სხვა.

აქ საჭიროა მოვაგონოთ სამხკორს, რომ მის მოვალეობას შეადგენს სწეროს სრული სიმართლე, ყოველგვარი სიმპატია—ანტიპატიის გარეშე.

მტკიცედ გავატაროთ ეკონომიის რეჟიმი წითელ ჯარში.

—ე.

## 2.158 ტრაქტორი

ამერიკიდან გამოწერილი იყო 2 ათას 158 ტრაქტორი, რომლებიც უკვე მიიღო ადგილებმა.

## საავიაციო და ქიმიური მრეწველობის მუზეუმი

საბჭოთა კავშირის ავიაქიმმა გადასდო სათანადო თანხა საავიაციო და ქიმიური მრეწველობის მუზეუმის მოსაწყობად.

მუზეუმი გაიხსნება მოსკოვში 14 ივლისს—ავიაციის დღეს.

მუზეუმის საბჭოს თავმჯდომარედ დანიშნულია ს. კამენევი.

# საქართველოში.

## მაუდის ქარხანა

ქუთაისის მაუდის ფაბრიკაში მთავრდება ორთქლის ორი ახალი ქვაბის მოწყობა. ფაბრიკა ყოველდღიურად ამზადებს 300 მეტრ მაუდს. ფაბრიკამ მიიღო სამი ვაგონი მატყლი.

ნედლი მასალის მარაგი დიდხანს იკმარებს.

## რადიო მიმღების მოწყობა

ქუთაისის რკინის გზის კლუბში მოწყობილ იქნა რადიო-მიმღები. კლუბის წევრებს საშუალება აქვთ უსმინონ ყოველდღე რადიო-კონცერტებს მოსკოვიდან და როსტოვიდან.

## მინერალური წყლები

ქუთაისის მაზრის აღმასკომმა ადგილობრივ მნიშვნელობის ყველა მინერალური წყლები გადასცა ადგილობრივ აღმასკომებს საექსპლოატაციოდ.

აღმასკომებმა უნდა გაუკეთონ სათანადო რემონტი.

წყალტუბო რჩება საკურორტო ცენტრ. სამმართველოს განკარგულებაში.

## სასოფლო სამეურნეო აღწერა

გლეხობის თავისუფალი ფულის კოოპერაციაში მისაზიდავად, ქუთაისის მუშათა კოოპერატივი შეუდგა 9 პროც. სარგებლის მიცემას გლეხკომების მიერ კოოპერაციაში შემოტანილ ფულზე.

კერძო პირებს ეძლევა 12 პროც.

## კოოპერაციის გასაძლიერებლად

ივნისის შუა რიცხვებში მთელს ქუთაისის მაზრაში სტატისტიკურ ბიუროს მიერ ჩატარებულ იქნება 10 პროც. სასოფლო სამეურნეო აღწერა.

# სამხედრო სწავლება ბანაკში

## შენიღბვის გამოყენება გადარბენის დროს

გარდა სწრაფი გადარბენისა და გაწოლის, მეომარს უნდა შეეძლოს ადგილ-მდებარეობის შეფასება და გამოყენება ისე, რომ გადარბენის ან გადახოხვის დროს ის შეუმჩნევი იქნას მტრის მოთვალთვალისათვის.

თავისთავად ცხადია, რომ მსროლელი გადარბენის დროს უფრო ადვილი შესამჩნევია, ვიდრე მაშინ, როცა ის გაწოლილია. აქედან დასკვნა: გადარბენა უნდა სწარმოებდეს რაც შეიძლება ფრთხილად და ფარულად; მეომარი უნდა სარგებლობდეს ადგილმდებარეობაზე მყოფი საგნებით.

ხშირად მოხდება, რომ უსწორმასწორო ადგილი (ბორცვი, ორმო, თხრილი და სხვა) სრულიად ჰფარავს გადამხოხავ მეომარს, ხოლო გადამრბენს კი—ნაწილობრ, მაგალითად, წელს ქვევით. აქ თვით მსროლელმა უნდა მოისაზროს, თუ რა ხერხით სჯობია წინსვლა: ხოხვით თუ სირბილით. ადგილობრივ საგნებით ნახევრად დაფარულ მეომრის შემჩნევა ძნელია იმ შემთხვევებში, როცა გადარბენის მანძილი მცირეა და მებრძოლის ტანისამოსი ეხამება ადგილმდებარეობის ფერს. მოკლე მანძილზე (800—1.000 მეტრზე) სწრაფად გადამრბენ მეომრის შემჩნევა ძნელია, უფრო ახლო მანძილზე—ადვილი, ხოლო თუ ტანისამოსის ფერი განირჩევა ადგილმდებარეობის ფერისაგან, მსროლელი სულ ადვილი შესამჩნევი გახდება.

თუ რომ მსროლელი გაწოლილია მტრისთვის შეუმჩნევ ადგილზე (ბორცვზე ან ბუჩქზე მოფარებით), ის, ცხადია, სრულიად შეუმჩნევი ხდება. თუ რომ ის გადაირბენს ამ საგნებზე მოფარებით, თანდათან უფრო შეუმჩნევი გახდება, ვინაიდან მტრისთვის უჩინარ სივრცის სიმაღლე თანდათან იზრდება.

რომ უფრო სწორად იქნას განსაზღვრული მტრისთვის უჩინარ სივრცის სიმაღლე, გაწოლილი მსროლელი შეუმჩნევლად უნდა წამოიწიოს ზეზე მანამ, სანამ ის ხედავს წინ მოსაფარებელ საგანს და განსაზღვროს, თუ როგორ უკეთ გამოიყენოს გადარბენისთვის უჩინარი სივრცე.

ფარულად მოძრაობის მიზნით უფრო ხელსაყრელია გადახოხვა, მაგრამ ის მოფიქრებულად უნდა აწარმოო. თუ რომ მსროლელი მიხოხავს გაშლილ ადგილზე, შეიძლება თავისი ნელი მოძრაობის გამო მტრის მოთვალთვალის ყურადღება მიიქციოს. ამიტომ ასეთი გაშლილი ადგილები უნდა გადაირბინო სწრაფად და სწრაფათვე გაწვე მიწაზე.

რაც შეეხება შორ მანძილს, მსროლელი უნდა მოძრაობდეს სირბილით, გამართულად, ხოლო საშუალო დისტანციებზე აუცილებლად მოხრილათ უნდა გადაირბინოს. მტერთან ახლო მანძილზე, როცა ის შეეცდება ძლიერი ცეცხლის გახსნას, აუცილებლად უნდა გადავიდეს ხოხვაზე. როცა ცეცხლი შესუსტდება, შეიძლება გამოყენებულ იქნას ორივე ხერხი. არც ერთ შემთხვევაში მხედველობიდან არ უნდა იქნას გაშვებული შენიღბვა.

ი. ბ.

## ქვეითა ჯარის მნიშვნელობა ბრძოლაში

დღევანდელ საბრძოლო პირობებში, როცა ტეხნიკა განვითარების უმაღლეს დონეზე ავიდა, ბრძოლაში გადამწყვეტი მნიშვნელობა საშუალო (1.000—600 მეტრი) და ახლო მანძილზე (600 მეტრზე) ეკუთვნის ქვეითა ჯარს.

რაც შეეხება არტილერიას, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული ქვეითი ჯარის საბრძოლო მუშაობასთან, მას არ შეუძლია დაეხმაროს ქვეითა ჯარს ზემოაღნიშნულ მანძილიდან ბრძოლის დროს. ამ დროს არტილერია აწარმოებს თავის ცეცხლს მტრის რეზერვების წინააღმდეგ. ამიტომ ქვეითა ჯარს მოუხდება იერიშამდი წინ წაწევა მძიმე, მსუბუქ ტყვიამფრქვევებისა და აგრეთვე ავტომატებისა და შაშხანების ცეცხლის დახმარებით.

ამასთან საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ქვეითა ჯარებზე მიცემულ ცეცხლის საშუალებათა მოქმედება უნდა იყოს გადამჭრელი, სწრაფი და მიმართული იმ მხრივ, რათა მისცეს ქვეითა ჯარს საშუალება შეუჩერებლივ და ფარულად მიუახლოვდეს მტერს და აჰყაროს ის თავის ბუდიდან.

ქვეითა ჯარის სრული წარმატება დამოკიდებულია იმაზე, თუ რომ მიზანშეწონილად და სწორად იქნება გამოყენებული ტეხნიკური საშუალებანი, ცოცხალი ძალა, ე. ი. ყველა მეომრები. თანადროული ბრძოლის ძირითადი სახე მდგომარეობს იმაში, რომ წესიერად იქნას გამოყენებული ქვეითა ჯარის ცეცხლის საშუალებანი—ლეგიონის ზარბაზნები, მძიმე და მსუბუქი ტყვიამფრქვევები, ავტომატები, შაშხანები, ხელისა და თოფის გრანატები.

ყველა ეს ზემოჩამოთვლილი საშუალებები თავიანთი ცეცხლით ხელს უწყობს ჯარის ნაწილებს სწრაფად და ფარულად მიუახლოვდეს მტერს და დაჯგუფდეს საიერიშოდ.

რომ უბრალო მსხვერპლი არ შეიწიროს მტრის ცეცხლმა, ქვეითი ჯარი აიშვიათებს თავის წყობილებას, რის მეოხებითაც თვითეული ათეული, ოცეული და ასეული ადვილად სარგებლობს მოძრაობის დროს ადგილობრივ საფარითა და უსწორ-მასწორ ადგილებით, რომლებიც კი შეხვდება წინ მოძრაობის დროს.

კედაროზე და სიღრმეში განაწილებული მცირე ქვეითა ნაწილები (ათეული და ოცეული) წინ მიიწევენ, ეხამებიან ადგილ-მდებარეობას და აწარმოებენ ცეცხლს დამოუკიდებლად მთელი ნაწილის საერთო ამოცანის ასრულების მიზნით. ამასთან ყველა ეს მცირე ნაწილები შველიან ერთმანეთს ბრძოლის ყოველგვარ გარემოებაში, როგორც ცეცხლით, ისე მანევრებით.

მხოლოდ შეთანხმებულ გამოცდილ და თავდადებულ მოქმედებით შეუძლია ქვეითა ნაწილს იყოს დანიშნულების სათანადო სიმაღლეზე და სწორად შეასრულოს დაკისრებული ამოცანა ბრძოლის თანადროულ პირობებში.

ყოველივე ზემოთქმული უნდა ახსოვდეს თვითეულ მეომარს და უნდა სცდილობდეს, რათა მშვიდობიან დროს კარგად შეისწავლოს საბრძოლო მოქმედება, რომ საჭირო დროს აღჭურვილი იყოს სათანადო ცოდნითა და გამოცდილებით ჩვენი კავშირის დასაცავად იმპერიალისტურ მტაცებლებისაგან.

ი. ბ.

## შავი ქვის წარმოება და ხარიმანის კონცესია.

ქვეყნის წარმოების აყვავებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამოღებითი მრეწველობის გაძლიერებას, რომელიც თავისთავად წარმოადგენს საფუძველს მთელ ყველა წარმოების დარგების განვითარებისათვის. ამისთვის არის, რომ მთელი ბრძოლა, რომელიც სწარმოებს კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის, არსებითად არის ბრძოლა ან ქვანახშირისთვის, ან შავი ქვისთვის და ან სხვა მადნებისთვის. მეორე მხრივ თვით ამ წარმოების განვითარება ქვეყნის ბუნებრივ პირობებზეა დამოკიდებული და ამდენათ თვითეული ქვეყანა ამ წარმოების განვითარების საქმეში განსაზღვრულ პირობებით არის შეზღუდული. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს შავიქვის (მარგანეცის) მრეწველობას, რადგან ამ მადნიდან შესაძლებელია მრავალ პროდუქტების მიღება, როგორც არის მაგალ. სპეტის დამზადება (хлор), 2. ჟანგბადის მიღება, 3. განუფერება მინისა, 4. ჩითის სახის გაკეთება, 5. ზეთის საღებავების გაშრობა, 6. ელექტრონის ელემენტების გაკეთება, 7. მახრჩობელა გაზების დამზადება, რომელსაც ასე დიდი მნიშვნელობა ქონდა წარსულ ომში და ალბათ ექნება მომავალში.

ჩვენი ქვეყანა ამ მხრივ განსაკუთრებულ მდგომარეობაშია. სხვა მრავალ ბუნებრივ სიმდიდრეთა შორის ჩვენი ქვეყნის სხვა და სხვა კუთხეში მრავლად მოიპოება შავიქვის (მარგანეცის) მადანი. განსაკუთრებით საყურადღებოა ამ მხრივ ჭიათურის შავიქვის მადანი, რომლის მარაგი ინჟ. ტროიცკის გამოანგარიშებით უდრის 5 მილიარდ ფუთს, პროფ. მელიქიშვილის გამოანგარიშებით 9 მილიარდ ფუთს და სხვების გამოანგარიშებით 15 მილიარდ ფუთს. თუ შევადარებთ სხვა ქვეყნებს, ჩვენ დავინახავთ, რომ ჭიათურის შავიქვის მადნის მარაგი აჭარბებს ყველა სხვა ქვეყნების ამავე მადნის მარაგს. ასე მაგ. მარაგი უდრის.

| | | |
|---|---|---|
| რუსეთში (ნიკოპოლის რაიონი | — 800 | მილ. ფ. |
| ბრიტან. ინდ. | — 750 | „ „ |
| ბრაზილიაში | — 200 | „ „ |
| ჩრდილ. ამერიკაში(კუნძ.კუბა) | — 150 | „ „ |

არის მარაგი სხვა ქვეყნებშიაც მაგ. დასავლეთ აფრიკაში, მაგრამ მათ არა აქვთ თავისი გეოგრაფიული მდგომარეობის გამო ხელსაყრელი პირობები და აქედან გადამწყვეტი ეკონომიური მნიშვნელობა. ომის დაწყებამდე საქართველოში იქნა ამოღებული გაცილებით უფრო მეტი მადანი, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ასე მაგ.:

ამოღებულ იქნა 1913 წ.

| | | |
|---|---|---|
| ბრაზილიაში | 120.335 | ტონა. |
| ინდოეთში | 815.047 | „ |
| ჩ. ა. შ. შტ. | 4.113 | „ |
| საქართველოში | 970.000 | „ |
| კუნძ. კუბაზე | 11.589 | „ |

რომ არ მოვიყვანოთ სხვა ქვეყნები, რომელთა ამოღება ამ ქვეყნებთან შედარებით ძალიან მცირეს წარმოადგენდა, დავინახავთ, რომ საქართველო პირველ რიგში დგას, მიუხედავათ იმისა, რომ შავიქვის ამოღება საოცრად პირველყოფილ იარაღებით სწარმოებდა. ომის შემდეგმა ხანამ შავიქვის ამოღების საქმე ჩვენში მთლად შესწყვიტა და მენშევიკების ბატონობის უკანასკნელ ხანაში—1921 წელს ამოღება სრულებით არ ყოფილა. ამ მდგომარეობამ გამოიწვია ის ამბავი, რომ საქართველოს შავიქვის ბაზრები დაიკავეს სხვა ქვეყნებმა, როგორც არის მაგ. ბრაზილია და ბრიტანეთის ინდოეთი. ასე მაგ.:

| | 1913 წ. | 1922 წ. |
|---|---|---|
| ბრიტანეთის ინდოეთმა ამოიღო | 815.047 ტონა. | 774.860 |
| ბრაზილიამ ამოიღო | 120.335 ტონა | 350.000 |
| საქართველომ ამოიღო | 970.000 ტონა | 164.000 |
| | | გაიტანა. |

საქართველომ 970.000 ტონის ამოღებიდან 1922 წელში გაიტანა მხოლოდ 164.000 ტონი. ამ მდგომარეობის გამოსწორება შეიძლებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ჩვენ ერთის მხრივ გავიტანდით მარაგს ამოღებულ შავი ქვისას და მეორეს მხრივ შევძლებდით ახალ ტეხნიკურ გაუმჯობესებათა საშუალებით ექსპლოატაციის გაძლიერებას. ომის შეწყვეტამ და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებამ შესაძლებელი შექმნა ნაწილობრივი პირველი ამოცანის შესრულება, მაგრამ მეორე ამოცანის განხორციელება იმ პირობებში, რა პირობებშიც ჩვენ ვიყავით იმ დროს შეუძლებელი შეიქმნა. საჭირო იყო დიდი თანხის დახარჯვა, რომ ჩვენი შავი ქვის მრეწველობა შესაფერ ტეხნიკურ დონეზე დაგვეყენებია. ამისთვის ხელისუფლებამ განიზრახა შავი ქვის კონცესიის გაცემა ამერიკულ კომპანიაზე (ხარიმანის კომპანია) განსაზღვრულ ხელშეკრულების საფუძვლებზე. მთავარი რაც არის საყურადღებო ამ ხელშეკრულებაში, ეს არის ვალდებულება ხარმანიის კომპანიისა განსაზღვრულ თანხის დახარჯვა თანახმად ამ ხელშეკრულებისა კომპანიამ უნდა დახარჯოს პირველი სამი წლის განმავლობაში 4 მილ. მანეთი სხვა და სხვა ტეხნიკურ გაუმჯობესებისათვის. უნდა გაიყვანოს რკინის გზის ხაზი ზესტაფონიდან ფოთამდე, ყოველ წლიურად უნდა ამოიღოს 800.000 ტონი შავი ქვა, რომელიც უნდა გაიტანოს საზღვარ გარეთ. კონცესიონერი აგრეთვე ვალდებულია გამოიყენოს პირვე რიგში ჩვენი ტეხნიკურად მო მზადებული ძალები და დაბა ლი პერსონალი.

გარდა ამისა კონცესიონერ ვალდებულია განსაზღვრულ პროცენტი გატანილ შავი ქვი ღირებულებიდან გადასდო რესპუბლიკის სასარგებლო რადგანაც კონცესია დადებუ ლია 20 წლის ვადით ხელისუ ფლებამ გაითვალისწინა მდგომარეობა, რომ ადგილო რივი მოხმარებისათვის საჭირო შავი ქვა, რისთვისაც თანახმა ხელშეკრულების ერთი მუ ლისა, ტერიტორიის ის ნაწ ლი სადაც არის შავი ქვის მა დანი ეს ტერიტორია უდრი 125 კვ. ვერსს. უნდა ნაწილ ამ სივრცისა 15 კვ. ვერს მანძილის უნდა იქნას ჩვენი ხე ლისუფლების ხელში. ეს დ პირობის მრავალი სხვა მუ ლები ამტკიცებენ იმ დებულე ბას, რომ ამ კონცესიით ჩვე შევძლებთ ჩვენი მრეწველობ ყველა ნაწილებში წინ წაწევ და ჩვენი სახელმწიფო ბიუჯე ტში არა ხარჯის სახით შემო სავლის გაძლიერებას, რაც თა ვისთავად ხელს შეუწყობს ჩვე ნი მეურნეობის აყვავებას.

—ლია.

# ტერშეკრების პირველი დღეები | განაკში გასვლის შემდეგ

## მეორე ქართული დივიზიის მეთაურსა და სამხედრო კომისარს

მე-5 ლეგიონის მეორე მსუბუქ არტდივიზიონის ცვალებადელ ახალწვეულთა საზეიმო კრება გიძღვნით მხურვალე სალამს. ჩვენ სრულიად შეგნებულად გვწამს საბჭოთა ხელისუფლების ძლიერება და ტერიტორიალური აღმშენებლობის მნიშვნელობა, რომელიც სასიკვდილოდ ლახვრად დაესობა საერთაშორისო კაპიტალს. აღფრთოვანებით ვეწაფებით სამხედრო სწავლას და ფიცსა ვსდებთ, პირველ დაძახებისთანავე გამოვიდეთ იარაღით ხელში საერთაშორისო პროლეტარიატის წინაამდეგ.

**მე-5 ლეგ. და მეორე მსუბუქ დივიზიონის ცვალებადელთა გაერთიანებული კრება.**

## ცვალებადელები უკლებლად გამოცხადდენ

მე-2 საკავშირო ასეული.

ჩვენი ასეული ადრიანად შეუდგა სამზადისს ცვალებადელების მიღებისათვის. ყოველგვარი ზომები იქნა მიღებული, რომ გამოწვევა წარმატებით ჩატარებულიყო. იმედები ასი პროცენტით იქნა გამართლებული. ასეულში გამოშვებული იქნა კედლის გაზეთის სპეციალური ნომერი.

15 მაისს ასეულის ეზო გაიჭედა ახალგაზრდა ცვალებადელებით, რომლებსაც დიდი სიხარულით შეეგებენ ნაწილის ძირედი შემადგენლობის წითელ არმიელები. გაიმართა საუბარი. ახლად მოსულები აუარება შეკითხვებს იძლეოდენ წითელი ჯარისა და ყაზარმის ცხოვრების შესახებ. დაინტერესებული არიან ყოველგვარი წვრილმანით. უკვე გავაცანით, თუ როგორ უნდა შეხვდენ ისინი სამხედრო მეცადინეობას.

17 მაისს ნაწილში მოწყობილი იქნა მათი შესახვედრი საზეიმო კრება. წარმოითქვა მისასალმებელი სიტყვები ნაწილის უფროსების მიერ. ილაპარაკეს ცვალებადელებმაც.

გაიმართა საუბარი აგრეთვე დისციპლინისა და წითელი არმიელის სხვა მოვალეობის შესახებ.

პარტიულ და კომკავშირელ ამხანაგებთან ცალკე იქნა საუბარი ჩატარებული იმის შესახებ, თუ როგორი მაგალითის მაჩვენებელი უნდა იყვნენ ისინი უპარტიო ცვალებადელთათვის.

ცვალებადელებმა დასდვეს სიტყვა, რომ მტკიცედ შეასრულებენ ყველა დავალებებს.

წ. არმ. ი. ბახტაძე.

## დაიწყეს ქვემეხებზე მეცადინეობა.

მე-2 არტლეგიონი.

ლეგიონის ცვალებადელებმა უკვე დაიწყეს მეცადინეობა ქვემეხებზე. შესდგა ცალ-ცალკე ჯგუფები. თითეულ ჯგუფს ხელმძღვანელობს აქტიური მეთაური. ამ ჟამად გადიან ქვემეხის დაშლას, აწყობას და სხვა. ახლად მოსულები იშვიათი გულმოდგინეობით ეკიდებიან მუშაობას.

ქვემეხები მეტის-მეტად აინტერესებთ. მათი ინტერესები თანდათან იზრდება მეცადინეობისადმი.

დისციპლინას ზედმიწევნით კარგად ასრულებენ.

მალე ჩვენი ცვალებადელებისაგან მივიღებთ სათანადოთ გაწვრთნილ წითელ არმიელებს.

პ. კახიძე.

## პოლიტგამოცდებმა კარგი შედეგები მოგვცა

5-ე ლეგიონის სამნეო ასეული

ასეულში კარგა ხანია გაცხოველებული მუშაობა სწარმოებდა პოლიტცოდნის გამეორებისათვის. მთელი შემადგენლობა ემზადებოდა, რომ ღირსეულად შეხვედროდენ მოახლოვებულ გამოცდებს.

მიუხედავად იმისა, რომ წითელ არმიელები თითქმის ყოველთვის დატვირთული იყვენ მუშაობით და აღარ რჩებოდათ დრო პოლიტიკური მომზადებისათვის, მით იშვიათი მუყაითობის გამო მაინც შესძლეს განვლილის კარგად შეთვისება. თავისუფალ საათებში თუ კი გამოჩდებოდენ ასეთები, ჩაუჯდებოდენ და მეცადინეობდენ თავაუღებლად.

საგამოცდო კომისია ძლიერ კმაყოფილი დარჩა ნაწილის წითელ არმიელების პოლიტცოდნით. ყველანი თამამად და გაბედულად აბარებდენ გავლილ თემებს. შეკითხვებზე დამაკმაყოფილებელ პასუხს იძლეოდენ თითქმის ყველა.

ასეულის ცოდნა და მომზადება ამ მხრივ დამაკმაყოფილებლად იქნა შეფასებული.

გოროზი.

## დავალებას პირნათლად ასრულებენ

1-ლი ლეგ. სკოლა.

კარგა ხანია მას შემდეგ, რაც სკოლაში მოვლენილი იქნენ პრაქტიკის მისაღებათ პოლიტსკოლის უფროსი კურსის კურსანტები.

მოსვლისთანავე ამხანაგები ენერგიულად შეუდგენ მუშაობას. თავისუფალ საათებში სულ წითელ არმიელებთან იმყოფებიან და აწარმოებენ სხვა და სხვა ხასიათის საუბრებს. სცდილობენ რაც შეიძლება მეტი წითელ არმიელები ჩაითრიონ საუბარში და მიაღებიონ მონაწილეობა საკითხების განხილვაში.

როდესაც სკოლა გადის ველში პრაქტიკული მეცადინეობის საწარმოებლად, ისინიც არ იზარებენ და თან მოგვყვებიან. შესვენების დროს აქაც მართავენ ამხანაგები საუბრებს.

სკოლის კურსანტები დიდ მადლობას უძღვნით ამხანაგებს ასეთი დაუზარებელი მუშაობისათვის, რითაც საშვალება გვეძლევა შევიძინოთ მეტი ცოდნა და გამოცდილება.

გაუმარჯოს მათ მომავალ მუშაობას ჩვენს ნაწილებში.

ბ. ვარდია.

## ჩვენი ბიბლიოთეკაც მომზადებული შეხვდა ბანაკობას

(1-ლი ქართ. მსრ. ლეგიონი).

ჩვენი ლეგიონის საბანაკოთ ახმაურებასთან ერთად ამოძრავდა ჩვენი ბიბლიოთეკაც. ჯერ კიდევ ბიბლიოთეკამ ერთი თვის ნახევრით ადრე დაიწყო საბანაკო მზადება.

შედეგიც კარგი მივიღეთ: მან მთელი ამ ხნის განმავლობაში შეიძინა 400 ახალი სხვა და სხვა შინაარსის წიგნები.

გამოყო 600 უცდო წიგნი დაკინძვისათვის ახალ შეძენილ წიგნების ჩათვლით.

ამჟამად ბიბლიოთეკას საკმაოდ მოეპოება საბანაკო პერიოდში გამოსაყენებელი, რაც დიდ შედეგს მოუტანს ჩვენს წითელ არმიელებს კულტურულ პოლიტიკურად აღზრდის საქმეში.

ბიბლიოთეკას ერთი კვირა უსრულდება ბანაკში. ამ ხნის განმავლობაში, მან საგრძნობი საქმე გააკეთა.

ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული ბიბლიოთეკის მოწყობა. ამ ოთხი-ხუთი დღის შემდეგ ბიბლიოთეკა უფრო ნაყოფიერ მუშაობას დაიწყებს.

მუშაობაში ბიბლიოთეკას დიდათ უწყობს ხელს სამხკომი, ლეგთავი და სამნეო ნაწილის უფროსი.

ბიბლიოთეკა ეწყობა ბანაკის გვერდით.

ა. დეისაძე.

## ჩვენი მუშაობა განაკში

ცხენოსანი ლეგიონი

ჩვენი ლეგიონი 7 მაისიდან დაიძრა საზამთრო ყაზარმებიდან ბანაკისაკენ. მივემართებოდით ლაშქრული წესით. ჩვენთან ერთად მოდიოდენ აგრეთვე რუსული 66, 65, 64 ცხ. ლეგიონები. მიუხედავად გამოუცდელობისა გზაში ისე დავყავით 8 დღე და ვაწარმოებდით ლაშქრული წესით მოძრაობას, რომ წითელ არმიელებს ოდნავ არ გასჭირვებიათ. 8 დღეს ყველა ლეგიონებმა მივაღწიეთ დანიშნულ საბანაკო ადგილს. კარვები უკვე დაგვხდა. ორი დღე შევისვენეთ როგორც ჩვენ ისე ცხენებმა, შემდეგ კი შეუდექით ბანაკში კულტურულ გასართობების, კლუბის, ბიბლიოთეკის და სხვათა მოწყობას.

პირველ ხანებში ვერ დაეწყო საბანაკო ცხოვრება. სადილები და ვახშმები, არ იყო თავის დროზე. ასევე იყო მუშაობის სხვა და სხვა დარგებშიც, მაგრამ ასეთი მდგომარეობა გამოსწორდა.

თანდათან ეწყობა სასადილო, სამზარეულო, საჯინიბო და სხვა. ამ რამდენიმე დღეში დაწყება საბანაკო მეცადინეობა, როგორც კურსანტებთან ისე წითელ არმიელებთან.

ჩვენთვის ძლიერ საინტერესოა ბანაკის ადგილ-მდებარეობა. ვნახეთ ომიანობის დროის აუარება ნანგრევები. წყალი ბანაკში საკმაოდ მოიპოება და ჰაერიც ჯანსაღია.

ბანაკში ჩასვლისთანავე მეთაურებმა დაწვრილებით გაგვაცნეს საბანაკო მუშაობის მნიშვნელობა. უკვე შესდგა სამეცადინო ცხრილი. გაზეთები სისტემატიურად მოგვდის ყოველ დღე.

პოლიტმეცადინეობაც გაჩაღდა. ყველა ესკადრონებში მოხდა კომუჯრედების კრებები და გათვალისწინებული იქნა მომავალი მუშაობის გეგმა. დიდი ყურადღება ექცევა მახლობელ სოფლებთან დამოკიდებულების საკითხების მოგვარებას და დარწმუნებული ვართ, რომ ამ მხრივ ბევრ რამეს გავაკეთებთ.

პ. ნადარეიშვილი.

## დისციპლინას მტკიცედ ვიცავთ

1-ლი არტსკოლა.

1-ლი არტლეგიონის სკოლა დაყოფილია რამოდენიმე ჯგუფებათ, კურსანტების ცოდნისა და განვითარების მიხედვით. ყველა ჯგუფებთან სათანადო ტემპით და პროგრამით მიმდინარეობს მეცადინეობა. პირველ ხანებში სკოლაში ცოტა მოისუსტებდა დისციპლინა და ვერ ხდებოდა კურსანტების შესაფერი დაინტერესება სხვა და სხვა საკითხებით. ამ გარეოებას ჩქარა მიექცა ყურადღება სკოლის მესვეურებისაგან და შესაფერი ხელმძღვანელების შერჩევის შემდეგ ასეთი მდგომარეობა გამოსწორდა.

ამ ჟამად გაცხოველებული მეცადინეობა სწარმოებს ნაწილში. ხელმძღვანელებმა შესძლეს კურსანტების ზედმიწევნით დაინტერესება. ვერ ნახავთ ერთ კურსანტს, რომ არ მეცადინეობდეს გამუდმებულად და არღვევდეს დისციპლინას. ყველას შეგნებული აქვთ თავიანთი მოვალეობა.

ერთია მხოლოდ ხანდახან აგვიანებენ ზოგიერთი მწყობრის თავები მეცადინეობაზე და გვიხდება ცდა.

კარგი იქნება გამოირკვეოდეს ამის მიზეზები და შესაფერი ზომები იქნებოდეს მიღებული მის ამოსაფხვრელად.

ქოლობნელი.

## არა გვაქვს პირსაბანი

1-ლ არტლეგიონში არ იქნა და არა, ვერ მოაწყვეს ერთი პირსაბანი წითელ არმიელებისათვის. მტკვარზე გვიხდება სიარული პირსაბანათ. კარგი იქნება სამნეო ნაწილი ეხლა მაინც მოგვაქცევდეს ყურადღებას და მოგვიწყობდეს პირსაბანს.

წ. არმ. ყ—ლი.

## ამხ. ამხ. სამხკორეგო, მოიწერეთ წერილები

## წითელ ყაზარმიდან ბანაკამდე.

**1-ლი ლეგიონის გამგზავრება ბანაკში.**

ამ რამოდენიმე დღის წინად ლეგიონმა დასტოვა საზამთრო ყაზარმები და გავეშურეთ ბანაკისაკენ. საომარი წესით შეიარაღებულ წითელარმიელებმა მხიარული სიმღერით და მუსიკით გაიარეს თფილისის მთავარი ქუჩით და სამხედრო გზით გაემართენ ბანაკისაკენ.

მთელი მანძილი ტფილისიდან გორამდე ფეხდაფეხ იქნა გავლილი. გზადაგზა გვიხდებოდა შესვენება და ვიკრებდით ღონეს შემდეგი მგზავრობისათვის.

პირველ დღეს ლეგიონმა გაიარა 30 ვერსი.

**ზაჰესში.**

გზაში გადაუხვიეთ ზაჰესში. ვინახულეთ ჰიდრო-ელსადგურისათვის წარმოებული სააღმშენებლო მუშაობანი. წითელარმიელების განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც ისინი დაწვრილებით გააცნეს, თუ როგორ უნდა შეგუბდეს მტკვარი, როგორ იქნება გადაყვანილი დატინობებულ არხში წყალი; როგორ შეიძლება სურვილისამებრ დააგუბონ და გაუშვან წყალი საკეტების შემწეობით და სხვა.

მოდიდებული მტკვარი იშვიათ სანახაობას წარმოადგენს: მდინარე ავობს, ცოფებს ყრის და ღრიალებს, რომ ვეღარ ეტევა ვიწრო გასავალში. არხის სათავეც გაკავებულია, რომ წყალი არ წავიდეს და ხელი არ შეუშალოს სადგურის საალმშენებლო მუშაობას. ამის გამო მოდიდებული მტკვარი შეგუბებული იყო. ახლად დამთავრებულ დამბას—მთავარ კაშხალს თავზე გადასდიოდა წყალი, რაც კიდევ უფრო მიმზიდველად ხდიდა სანახაობას.

აქ მთელი ტბა არის გაკეთებული. შეგუბებული წყალი ფარავს არაგვის კალაპოტსაც.

სამხკომი გაახია დაწვრილებით აძლევდა წითელარმიელებს პასუხს ყველა შეკითხვებზე. გაიმართა საუბარი იმის შესახებაც თუ როგორი სარგებლობის მოტანა შეუძლია მას და რისთვის უნდა იქნეს გამოყენებული სადგურის ძალა.

დასასრულ ვინახულეთ არხის ბოლოც, ის ადგილი, სადაც უნდა ჩაიდგას ტურბინები და შენდება სადგურები. წითელარმიელები მეტად კმაყოფილი დარჩენ სანახაობით და ისევ განვაგრძეთ გზა.

**სადგური მცხეთა.**

ლეგიონი სიმღერით შევიდა საქართველოს უძველეს ქალაქ მცხეთაში. აქ დაგვხვდა დამზადებული სადილი. მცირე ხნით შესვენების შემდეგ მიუხედავად გაწვიმებისა, ისევ განვაგრძეთ გზა.

ლეგიონის ექიმები, სანიტრები და სხვა თან გვახლდენ და გზაში ავად გამხდარ წითელარმიელებს აძლევდენ სათანადო დახმარებას.

რამოდენიმე საათის შემდეგ ლეგიონი შევიდა სოფ. №-ში. შამოგვეგებენ ადგილობრივი გლეხები და ადმასკომი. მოგვცეს დასასვენებლად ბინები და მთელი ღამის განმავლობაში გვიწევდენ ყოველგვარ დახმარებას.

საღამოს გავმართეთ სიმღერები, ცეკვა-თამაში და სხვა გასართობები. ადგილობრივ გლეხობა დიდ მონაწილეობას ღებულობდენ ამ გართობაში. მთელმა სოფელმა ლეგიონის ბანაკთან მოიყარა თავი. გავეცანით აგრეთვე ძეგვის გლეხობის საქმიანობას. ვინახულეთ სამკითხველო, კოოპერატივი, კლუბი, სამხედრო კუთხე და სხვა, რომლებიც ძლიერ კარგად არიან დაყენებული.

**წითელარმიელები დიდ გამძლეობას იჩენდენ.**

სოფელ №-დან ავიშალენით დილით ადრე. გზადაგზა—სოფლებში გვხვდებოდენ გლეხები. ჩვენც შესვენების დროს ვაწყობდით მათთან საუბრებს, ვიგებდით სოფლების ავკარგს, ვეცნობოდით სამკითხველოების და სხვა დაწესებულებების მუშაობას. ხელმძღვანელებს ვაძლევდით სათანადო მითითებებს და სხვა. გლეხობა ყველგან აღფრთოვანებით გვხვდებოდა და ცდილობდენ რაიმე დახმარება აღმოეჩინათ ჩვენთვის. წვიმები ძლიერ გვიშლიდა ხელს მგზავრობაში, მაგრამ ჩვენ მაინც არ შევჩერებულვართ და განვაგრძობდით გზას. წითელარმიელებმა მშვენივრად აიტანეს ასეთ ცუდ პირობებში მგზავრობა. არ ყოფილა შემთხვევა, რომ ვინმე დავარდნილიყოს.

**ტაქტიკური მეცადინეობა.**

გზადაგზა ამხ. მეთაურების ხელმძღვანელობით ეწყობოდა ტაქტიკური მეცადინეობა, რაც ყოველთვის წარმატებით სრულდებოდა.

მესამე დღეს ასეთი მოძრაობით მიუახლოვდით ბანაკს, სადაც შამოგვეგება ლეგიონის მესამე ათასეული მუსიკით. აქვე დაგვიხვდენ 1-ლი დივიზიის უფროსი და კომისარი, რომლებიც მოგვესალმენ. მცირე ხნის შესვენების შემდეგ ხალისიანათ შეუდგენ წითელარმიელები კარვების გაგებას. რამოდენიმე საათის შემდეგ ბანაკი გადათეთრდა კარვებით.

**მეცადინეობა უკვე დავიწყეთ.**

ამჟამად ბანაკში გაცხოველებული მუშაობაა. ცოტა ხელს გვიშლის ცუდი ამინდები და სიცივეები. აქვე არიან 1-ლი დივიზიის სხვა ნაწილებიც. ყველგან გაცხოველებული მეცადინეობაა, რომელიც კიდევ უფრო განაყოფიერდება, როდესაც კარგი ამინდები დადგება და წვიმები თავს დაგვანებებს. წითელარმიელების საერთო განწყობილება კარგია. ბანაკი კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს ყველაზე.

ს. იმნაიშვილი.

# ᲛᲝᲡᲞᲔᲗ ᲜᲐᲙᲚᲣᲚᲔᲕᲐᲜᲔᲑᲐᲜᲘ
## ᲡᲐᲓᲘᲚᲘ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲙᲔᲗᲓᲐ.

1-ლი ლეგიონის ყაზარმებში ამჟამად იმყოფება მე-6 ლეგიონის შემადგენლობა. 1-ლი ლეგიონის ერთი ნაწილი წითელ არმიელები, რომლებიც დატოვებული იქნენ ყაზარმაში გადავიდა მე-6 ლეგიონის კვებაზე. სამწუხაროდ მეტად ცუდ სადილს ამზადებენ. ამის შესახებ ავღნიშნეთ ერთხელ, მაგრამ ყურადღება არავინ მიაქცია. 19 მაისს კი „ბორშში“ აღმოჩნდა მატლები. შეუძლებელი შეიქნა მისი ჭამა. ყველას გული აერია და მიატოვეს ჯამები. ასეთივე მოვლენას ჰქონდა ადგილი ვახშმობის დროსაც.

საინტერესოა რად არ იღებენ ამაზე ხმას მე-6 ლეგიონის წითელ არმიელები და რად არ მოსთხოვენ სამნეო ნაწილს პასუხს?

საჭიროა ყურადღება მიექცეს ამ დაუდევრობას.

ძინძიბაძე.

# ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

## ᲛᲐᲜᲣᲤᲐᲥᲢᲣᲠᲐ ᲒᲚᲔᲮᲗᲐᲗᲕᲘᲡ.

დადებულ იქნა ხელშეკრულება ამიერკავკასიის კავშირსა და საკავშირო საქსოვ სინდიკატს შორის. ხელშეკრულების თანახმად საქსოვ სინდიკატის ქუთაისის სააგენტომ უნდა მოამარაგოს ყოველთვიურად ცეკავშირი თითო ვაგონ მანუფაქტურით, რომელიც უნდა დაურიგდეს გლეხობას კოოპერატივების საშუალებით

# ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲐᲠᲛᲘᲔᲑᲨᲘ

## ᲠᲝᲒᲝᲠ ᲐᲡᲬᲐᲕᲚᲘᲐᲜ ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲚ ᲯᲐᲠᲘᲡᲙᲐᲪᲡ ᲬᲔᲠᲐ-ᲙᲘᲗᲮᲕᲐᲡ.

საყოველთაო სამხედრო სწავლების შესახებ დებულება პოლონეთში მოითხოვს, რომ არმიის რიგებიდან გასვლის შემდეგ, თითეული ჯარისკაცი იყოს შესაფერად განვითარებული და იცოდეს საერთო ხაზებში მაინც ის მოვალეობანი თავისი ქვეყნის წინაშე და ის უფლებები, რომლითაც ის (ჯარისკაცი) სარგებლობს. ამისათვის საჭიროა, რომ მან შეისწავლოს არმიაში წერა-კითხვა.

ყოველწლიურად, არმიის ახალწვეულებით შევსების დროს თავს იყრის ჯარში ათარება (50%) წერა-კითხვის უცოდინარი და მცირე მცოდნე ახალგაზრდობა. მათთვის წერა-კითხვის შესწავლის საქმე, პირველი მოვალეობაა ჯარში მომუშავე პოლიტსაგანმანათლებლო მუშაკებისათვის.

პოლონეთის სეიმის (პარლამენტი) დადგენილების თანახმად (1919 წ.) მხოლოდ არმიას ევალებოდა ჯარისკაცებისათვის წერა-კითხვის შესწავლის საქმე. თითეული ლეგიონი ვალდებული იყო მოეწვია შტატი განათლების მუშაკები—რეფერენტები, რომლებიც ასწავლიდენ ჯარისკაცებს წერა-კითხვას. მათ აძლევდენ დამხმარეებათ ოფიცრებს, ან უნტერ-ოფიცრებს, რომლებსაც განვლილი ჰქონდათ წინასწარ სპეციალური საოლქო კურსები. უკანასკნელ ხანებში სურათი შეიცვალა: მომჭირნეობისათვის—განათლების მუშაკები რეფერენტები აღარ იწვევიან ნაწილებში, კურსები გაუქმებული იქნა, რეფერენტის მოვალეობანი ზედმეტი სამუშაოს სახით სრულდება ერთ-ერთი ოფიცერის მიერ. უეჭველია, რომ ასეთი მდგომარეობის დროს წერა-კითხვის უცოდინარეობის ლიკვიდაციის საქმე ვერ იქნება დაყენებული კარგ ნიადაგზე, მეცადინეობა არ სწარმოებს სისტემატიურად და სხვ. მართალია ჯარისკაცებს ეძლევათ ყოველგვარი სამოსწავლო საგნები: ფანქრები, რვეულები და წიგნები, მაგრამ წინდაწინ განსაზღვრული რაოდენობით. სამხედრო ბიუჯეტში არის სპეციალური მუხლი, რომელიც ნებას იძლევა სულ რამოდენიმე ფარა იქნეს მხოლოდ დახარჯული ამ მიზნით თითეულ ჯარის კაცზე.

„ეს ციფრები—სწერს ერთი პოლონური გაზეთი“ „ირწმუნებიან, რომ საგანმანათლებლო მუშაობა არმიაში არ სწარმოებს; მაღალი სიტყვები იმის შესახებ, რომ აუცილებლად უნდა გაიზარდოს ჯარისკაცის საზოგადოებრივი დონე—მხოლოდ პიტალო სიტყვებია.

წერა-კითხვის შესწავლა, ჯარისკაცის მომზადება და განვითარება ის ძირითადი საფუძველია, რომელზედაც აგებული უნდა იქნეს ნაციონალური და სახელმწიფოებრივი შეგნება. აი ის პროპაგანდა, რომლის მნიშვნელობა საუკეთესოდ გაიგო წითელმა არმიამ“-ო, დასძენს გაზეთი.

## ᲐᲛᲮ. ᲐᲛᲮ. ᲬᲘᲗᲔᲚᲐᲠᲛᲘᲔᲚᲔᲑᲝ, ᲒᲐᲛᲝᲘᲬᲔᲠᲔᲗ ᲓᲐ ᲒᲐᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲗ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ „ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲐᲠᲛᲘᲔᲚᲘ“

## პასუხი შეკითხვებზე

**მერაბიშვილს** სამსახურიდან დათხოვნის შემდეგ ხე-ტყის მასალა შეგიძლიათ მიიღოთ შეღავათიან ფასებში ისე, როგორც ეხლა. (ბრძანება № 1520—24 წ.)

**კარპიშვილს** კურსანტებს საოჯახო ულუფა არ ეძლევათ. (ბრ. № 30—26 წ.)

**კერვალიძეს** ოჯახური მდგომარეობის მიხედვით თქვენ გაწვევის დროს შეღავათებით სარგებლობა არ შეგეძლოთ. (ბრ. № 865—25 წ.)

**ხე—ანს** შემოდგომაზე ადრე სამსახურიდან განთავისუფლებული არ იქნებით. (ბრძანება № 965—25 წ.)

**პა—შვილს** ვინაიდან თქვენ არ გაგივლიათ გადამწერის სპეციალური კურსები, ამიტომ უნდა იმსახუროთ მხოლოდ ორი წელი. ბრძანება № 965—25 წ., მუხ. 34.

**ზინაშვილს** საღამოს კურსებზე სიარული შეგიძლიათ მხოლოდ თქვენი უფროსის ნებართვით.

**გოლიაშვილს** ტერნაწილში გადარიცხული არ იქნებით. (ბრ. № 834—25 წ.)

**ლ—ძეს** თუ ბავშვი შეგეძინათ ჯარში გაწვევის ერთი თვის განმავლობაში, მაშინ დამზღვევ სალაროდან გერგებათ დახმარება, თუ ერთი თვის შემდეგ, არა. ბრ. № 1520—24 წ.

**სანდრო ვ—ს** ყანის დამუშავებაში მოვალეა თქვენს ოჯახს დაეხმაროს გლეხკომი. მიმართეთ მას.

**მეთაურს** სამოქალაქო ტანსაცმელის ტარება შეგიძლიათ მხოლოდ სამსახურის შემდეგ, ყაზარმის გარეშე.

# ᲞᲐᲡᲣᲮᲘ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝᲔᲑᲡ

**ბურდილიძეს** (2 ლეგ.) თქვენი წერილი „უმცროს მეთაურ-ბის შესახებ“ მეტად ზოგადი ხასიათისაა. საჭიროა პრაქტიკულ ზომებსა და ღონის ძიებებზე მითითება და შეჩერება. არ დაიბეჭდება.

**ლომაძეს** (6 ლეგ.) თქვენი საპასუხო წერილი არ დაიბეჭდება. ამის გარშემო ვერ გამოვიწვევთ კამათს.

**ცეცხლს** (ცხენ. ლეგიონი) ელექტრო გამტარის დაზიანების შესახებ არ დაიბეჭდება. ამაზე იყო ორი დღის წინა მიმართეთ სათანადო ხაზით, „დედის წერილი“ გამოუ სადეგარია.

**მამალაძეს** (1-ლი არტლეგ.) თქვენი წერილი კედლის გაზეთების შესახებ, ვერ იძლევა შესაფერ პრაქტიკულ ღონისძიებებს. საჭიროა გარკვევით და მოკლედ ჩამოაყალიბოთ თქვენი დებულებები ეცადეთ სწერეთ დაფიქრებით, ნუ აჩქარდებით.

**იქაურს** (6 ლეგ.) წერილი ცუდი სადილების შესახებ არ გა ამაზე იბეჭდება დღეს კორესპონდენცია ჩვენს გაზეთში

## ვის აქვს საწინააღმდეგო?

5-თე ქართ. მსრ. ლეგიონის ბიურო კოლექტივში შე მოტანილი აქვთ კანდიდატობიდან პარტიაში წევრებათ და ფიკაციების განცხადებები: 1. იმნაიშვილი შალვა ლავრენტის ძეს, ას. მეთ., 2. ბერაძე პლატონ გიორგის ძე ათ. მეთაურ და კანდიდატებათ მისაღები:

1. ჩიჩუა შალვა ერმილესძე (უპარტიო, წით. არმ.)
2. ჰანტურია ბარნაბ დავითისძე (უპ. წით. არმ.)
3. ანდღულაძე იაკობ ალექსისძე (უპ. ათ. მეთ.)
4. მესხი კოსტა ზურაბისძე (უპ. წით. არ.)
5. ვაჩიბერიძე კლიმენტი მიხეილისძე (უპ. ოც მეთ.)
6. ბურკაძე მიხეილ ანდროსძე (ოც. თავი, კ. კ. წევრ
7. კოკაია კონდრატი იოსებისძე (წით. არ. უპარტიო)
8. პაპუაშვილი გაბრიელ სიმონისძე (ათ. მეთ. კ. კ. წ.)
9. შარიქაძე ემელიანე კირილესძე (ოც. თავი, კ. კ. წ
10. ლეკვეიშვილი ნოე ისიდორესძე (ათ. მეთ. კ. კ. წევ

თუ ზემო აღნიშნულ ამხანაგებზე პარტიის წევრებს მოქალაქეებს აქვთ რაიმე საწინააღმდეგო მათი პარტიაში მი ღების შესახებ წერილობით ან სიტყვიერათ აცნობონ მე ლეგიონის ბ. კოლექტივს ერთი კვირის განმავლობაში.

ბ. კ. მდივანი უბელავა.

# ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

## ᲨᲐᲑᲐᲗᲡ 22 ᲛᲐᲘᲡᲡ, ᲛᲝᲮᲓᲔᲑᲐ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲤᲚᲝᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲛᲘᲘᲡ ᲑᲐᲦᲘᲡ ᲡᲐᲖᲔᲘᲛᲝ ᲒᲐᲮᲡᲜᲐ.

**ᲗᲔᲐᲢᲠᲘ**—რუსული დრამის საზაფხულო სეზონის გახსნა ევისა და ობოლენსკის ხელმძღვანელობით. ლერნერის—პრემიერა „ნიკოლოზ 1-ლი“—9 ს რათად.

**Კ Ი Ნ Ო**—ახალი სურათი.

**ᲔᲡᲢᲠᲐᲓᲘᲡ ᲒᲐᲮᲡᲜᲐ**—სამხედრო ორკესტრის კონცერტი ცოცხალი გაზეთის „ლურჯი ხალათის“ პირვე გამოსვლა ახალი პროგრამით.

**Ბ Ა Ღ Ე Ბ Უ Ლ Ი Ა**—ბიბლიოთეკა, სამკითხველო, ტირი, ს მხედრო სამეცნიერო კაბინეთები, პოლიტსაგანმ ნათლებლო მუშაკის კაბინეთი, სათამაშო ოთახ ში, საბილიარდო და სხვა.


## ᲠᲐ ᲦᲘᲠᲡ „ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲐᲠᲛᲘᲔᲚᲘ“!!

ცალკე ხელის მომწერთათვის:

1 თვით — 50 კაპ.
3 თვით — 1 მ. 35 კ.
6 თვით — 2 მ. 50 კ.
12 თვით — 5 მან.

წითელ-არმიელებისათვის კოლექტიური ხელისმოწერა არა ნაკლებ 10 ცალისა:

1 თვით — 40 კაპ.
3 თვით — 1 მ. 10 კ.
6 თვით — 2 მ.
12 თვით — 3 მ. 80 კაპ.

ცვალებადელთათვის სოფელში გადაგზავნით იგივე რაც წითელ არმიელებისათვის


**ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲔ** აღრიცხვის ბარათი, გაცემული ტფ სამხედრო კომისარიატიდან ივანე მ სესძე მამასახლისოვის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

# ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘ ᲑᲐᲜᲐᲙᲨᲘ
## ᲛᲐᲗᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘ.

ჩვენს ნაწილებში არსებულ საზოგადოებრივ ორგანიზაციების წინაშე დიდი ამოცანები სდგას საბანაკო მუშაობის პერიოდში.

პარტწევრების, ახკომკავშირელების და უპარტიო წითელ არმიელებთან თანამშრომლობით მათ უნდა შექმნან პარტიასთან ახლო მდგომი აქტიური მასა.

ეს აქტიური მასა დამაკავშირებელი რგოლია უპარტიო და პარტიული მასების. აღნიშნული აქტივი იქნება ის რეზერვი, საიდანაც პარტიის დამფასებელი ელემენტები თანდათან შეავსებენ ჩვენი პარტიის რიგებს.

ეს ამოცანა ყოველთვის უნდა გვახსოვდეს ბანაკში საზაფხულო მუშაობის წარმოების დროს.

ძირითადი ორგანიზაციები, რომლებშიდაც შეუჩერებლად უნდა მიმდინარეობდეს და არ მოისუსტებდეს მუშაობა არიან: ავიაქიმი და რემედასი.

ზაფხულში საბანაკო ცხოვრების პირობებში ისევ უნდა დარჩენ ლენინის კარვებში ავიაქიმისა და რემედასის კუთხები.

წითელ არმიელები, სწავლების წესით, გაეცნობიან აირების მოქმედებას პრაქტიკაზე.

რომ კარგათ შეითვისონ წითელ არმიელებმა სხვა და სხვა მხრჩობელა აირების მოქმედება, მათი თვისებები და მათგან თავდაცვის საქე, ავიაქიმის კუთხეში ხშირად უნდა ეწყობოდეს ცდები, საუბრები, ლექციები და სხვები.

ავიაქიმის უჯრედი შეიძლება დაუკავშირდეს ქალაქს, საიდანაც შეიძლება მოწვეული იქნენ კულტშეფები ცდების დასაყენებლად და პოპულიარული საუბრების ჩასატარებლად.

ამას გარდა, ბანაკში მისული მუშები და გლეხები დაწვრილებით გაეცნობიან უჯრედის მუშაობას, სხვა და სხვა აირების მოქმედებას წითელ არმიელებთან ერთად ამ მიზნით წარმოებულ მუშაობასა და მეცადინეობაში.

რემედასის უჯრედი თავის მუშაობას იმავე სახით აწარმოებს ბანაკში, როგორც ყაზარმაში.

მან თვალყური უნდა ადევნოს სხვა და სხვა ქვეყნებში მომხდარ ამბებს, უნდა გამოეხმაუროს მათ და გაატაროს წითელ არმიელთა შორის რემედასის იდეები.

როგორც ავიაქიმის უჯრედები, ისე რემედასის აქტიურ მონაწილეობას უნდა ღებულობდენ, ბანაკში სკოლის გარეშე მუშაობის წესით გამართულ სხვა და სხვა გასართობებში. ისეთი ამბები, როგორც მაგალითად საყოველთაო მუშათა გაფიცვა ინგლისში, აუცილებლად უნდა შუქდებოდეს რემედასის საზოგადოებრივ თვითმომქმედ ორგანიზაციებში.

საზოგადოებრივ ორგანიზაციის ყველა წევრები უნდა იქნენ ჩათრეული მუშაობაში,

რადიო მოყვარულობის, სამნეო დახმარების კომისიების შედგენის, და კოოპერაციების დახმარებისათვის ბანაკში ძლიერ დიდი მოქმედების არე იშლება.

ასეთი ორგანიზაციების საზაფხულო მუშაობის შესახებ დაწვრილებით გვექნება საუბარი შემდეგში. ამ ჟამად კი მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს ზემოთ აღნიშნულ ორგანიზაციების საქმიანობას და მათ ნაყოფიერებას.